საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

შეხვედრა პლატფორმის წევრებთან

ოქმი

თარიღი: 25 იანვარი, 2024 წელი
დრო: 17:00 - 20:00
შეხვედრის ადგილი: Zoom

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნინო ჩხობაძე - (პლატფორმის თანათავმჯდომარე), საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები;
2. ლაშა ტუღუში - ლიბერალური აკადემია თბილისი;
3. ეკა ციმაკურიძე - დემოკრატიის ინდექსი საქართველო;
4. ნინო ელიზბარაშვილი - ასოციაცია ქალი და ბიზნესი;
5. ზვიად ელიზიანი - საერთაშორისო ბიზნესის განვითარების და ინვესტიციათა ხელშეწყობის ცენტრი;
6. რეზო გეთიაშვილი - კავკასიის გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელი;
7. ნუკრი ყველაშვილი - ახალგაზრდული ალტერნატივა;
8. მაკა ჯახუა - ასოციაცია და რადიო მწვანე ტალღა;
9. ნუგზარ კოხრეიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“;
10. ირინა ფუტკარაძე - საზოგადოებრივი დამცველი;
11. ქეთევან ცხაკაია - იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი "სპექტრი";
12. ქეთევან ჩაჩავა - განვითარების და დემოკრატიის ცენტრი;
13. ნათია ზოიძე - განვითარების და დემოკრატიის ცენტრი;
14. პაატა ყვავაძე - განვითარების და დემოკრატიის ცენტრი;
15. ალექსანდრა კალატოზიშვილი - სამოქალაქო განათლების განვითარების მულტიეთნიკური რესურსცენტრი;
16. ნინო ხუხუა– ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო;
17. სალომე სვანიძე - სამოქალაქო იდეა;

18. ელენე მახარაშვილი - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია;
19. ხათუნა ახალაია - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია;
20. ლია თოდუა - საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი;
21. ირაკლი ქასრაშვილი - მერსი ქორფსი;
22. გიორგი ძამუკაშვილი - ადგილის დედა;
23. იულია ხარაშვილი - იგპ ქალთა ასოციაცია თანხმობა;
24. თეონა ჩიქოვანი - ქალთა საინფორმაციო ცენტრი;
25. კახაბერ ლომაძე - სტუდენტურ-ახალგაზრდული სათათბირო;
26. ნატალია ხოხიაშვილი - ,,ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსათვის"
27. შორენა ლორთქიფანიძე - სამოქალაქო საბჭო თავდაცვის და უსაფრთხოების საკითხებში;
28. მურმან მარგველაშვილი - მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის;
29. მანანა წულაია - ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია ელკანა;
30. მარიამ ჯორჯაძე - ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია ელკანა;
31. ელენე რუსეცკი - ქალთა საინფორმაციო ცენტრი;
32. მერი გელაშვილი - მეწარმე ქალთა ფონდი;
33. ვიქტორია ბაიკოვა - საქართველოს რეფორმების ასოციაცია;
34. თენგიზ სვანიძე - საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია "საქართველოს ჩაი";
35. მერაბ გამსახურდია - გადავარჩინოთ მომავალი თაობა;
36. ცირა მესხიშვილი - სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ასოციაცია ტოლერანტი;
37. ცირა ჭანტურია - ციხის საერთაშორისო რეფორმა;
38. ალუ გამახარია - ასოციაცია "მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია";
39. ქრისტინე კილანავა - ასოციაცია ,,იმედი,, დევნილ ქალთა მოძრაობა მშვიდობისათვის;
40. მარი ალუღიშვილი - საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი;
41. გერმანე სალია - რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია;
42. ზურაბ ბენდიანაშვილი - სივილ ფორუმი მშვიდობისთვის.

დღის წესრიგი

1. ეროვნულ პლატფორმაში მიმდინარე პროცესები
2. 9 პრიორიტეტთან დაკავშირებული საკითხები

წევრებთან შეხვედრას უძღვებოდა: საქართველოს ეროვნული პლატფორმის თანათავმჯდომარე ნინო ჩხობაძე (საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის

მეგობრები).

პლატფორმის თანათავმჯდომარემ ისაუბრა იმ პროცესებზე, რომელიც ახლა მიმდინარეობს პლატფორმაში და რომელიც წინ უძღოდა ამ პროცესებს. კარძოდ, გასული რამდენიმე დღის განმავლობაში, პლატფორმა დატოვა 10-ზე მეტმა ორგანიზაციამ. განსხვავებული პოზიციების არსებობა დაიწყო აგენტების შესახებ კანონის ინიცირების პროცესების პარალელურად, ამას შემდეგ მოყვა განსხვავებული მოსაზრებები პარლამენტთან თანამშრომლობისა და მემორანდუმის გაფორმების შესახებ, დისკუსიები იმართებოდა მემორანდუმის ტექსტთან დაკავშირებითაც. გასული წლის ბოლოს, საერთო კრებაზე ერთხმად მიღებული კომპრომისული გადაწყვეტილების შედეგად არჩეულმა თანათავმჯდომარე, უჩა ნანუაშვილმა, გაავრცელა განცხადება, რომელსაც ხელს აწედა კოალიციის წევრი 10 ორგანიზაცია, დამატებით განცხადებას შეუერთდა 11 ორგანიზაცია.
საბწოს გადაწყვეტილებით, მომზადდა იურიდიული განმარტებები იმ ფაქტებთან და მოთხოვნებთან დაკავშირებით რომელიც არგუმენტად იქნა მოყვანილი განცხადებაზე ხელმომწერი ორგანიზაციების მიერ. პლატფორმის თანათავმჯდომარე ნინო ჩხობაძემ განმარტა წერილში მოყვანილი არგუმენტები. საპასუხო წერილი გარცელდა კოალიციის საკომუნკაციო საშუალებებით.
საბჭოს წევრების მხრიდან გაზიარდა ინფორმაციები ინდივიდუალური შეხვედრების შესახებ, კერძოდ: მეხუთე ჯგუფის კოორდინატორი, ირინა ფუტკარაძე და მეორე ჯგუფის კოორდინატორი, ნინო ელიზბარაშვილი შეხვდნენ კოალიციის თანათავმჯდომარეს, უჩა ნანუაშვილს, ასევე გაიმართა პლატფორმის თანათავმჯდომარე, ნინო ჩხობაძისა და მესამე ჯგუფის კოორდინატორის, რეზო გეთიაშვილის შეხვედრა უჩა ნანუაშვილთან და ალეკო ცქიტიშვილთან. შეხვედრების მიზანს, ზემოთხსენებული წერილის შესახებ მსჯელობა წარმოადგენდა. თანათავმჯდომარეების შეხვედრისას, ნინო ჩხობაძისა და რეზო გეთიაშვილის მხრიდან მოხდა შეთავაზება, რომ წესდების მონიტორინგის ჯგუფში უზრუნველყოფილი იყოს ძალთა დაბალანსებული რაოდენობით წარმოდგენა, ასევე საბჭოს შეხვედრების გახსნა პლატფორმის ყველა წევრისთვის, რაც ნიშნავს, რომ საკოორდინაციო საბჭოს დაგეგმილი შეხვედრების შესახებ ინფორმაცია გაზიარდება ყველა წევრ ორგანიზაციასთან და სურვილის დაფიქსირების შემთხვევაში, მათ შეეძლებათ ჩაერთონ საბჭოს შეხვედრაზე. საბჭოს წევრები, ამ კომუნიკაციის საფუძველზე, ელოდებოდნენ კონკრეტულ პასუხებს წერილის ავტორი ორგანიზაციების მხრიდან, თუმცა ამ დრომდე არ ყოფილა რეაგირება მათი მხრიდან.

თანათავმჯდომარემ ასევე ისაუბრა 2024 წლის მნიშვნელობაზე. 9 პირობის შესრულება უნდა იყოს უმთავრესი პრიორიტეტი, რომელთან დაკავშრიებითაც აქტირი სამუშაო პროცესი უდა დაიწყოს ყველა მხარის ჩართულობით. პლატფორმის როლი უნდა იყოს მეტად აქტიური. მან წწევრებს მიაწოდა ინფორმაცია 29 იანვარს, პარ;ამენტში დაგეგმილი შეხვედრასთან დაკავშირებით, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს პარლამენტის უმრავლესობა და ოპოზიცია.

მოსაზრებები გამოთქვეს:

იულია ხარაშვილი - მიიჩნევს, რომ ახლა ყველაზე მნიშვნელოვანია ვიმსჯელოთ იმ შიდა პროცესზე, რომელიც მიმდონარეობს პლატფორმაში. მან გამოხატა სოლიდარობა და პატივისცემა იმ ორგანიზაციების მიმართ, რომელთაც მიიღეს პლატფორმის დატოვების გადაწყვეტილება. იმ დროს, როდესაც ისედაც მიმდინარეობს დისკრიმინაციული კამპანიები კონკრეტულ ორგანიზაციებზე, ჩვენი სოლიდარობა და ერთიანობა იქნება გადამწყვეტი, იმისათვის რომ ეს დამატებით ბერკეტად არ იყოს გამოყენებული მათ წინააღმდეგ. მისი, და კოლეგების ინიციატივაა, შეიქმას მოდერატორთა ჯგუფი, რომელიც შეეცდება მხარეთა შორის კომუნიკაციისა და მოდერაციის შედეგად უზრუნველყოს ერთიანობის შენარჩუნება.

ნუგზარ კოხრეიძე - მან ისაუბრა იმ წინაპირობებზე, რომელიც პროცესს უძღოდა წინ. მიმოიხილა 2023 წელს საკოორდინაციო საბჭოში მიმდინარე პროცესები. ხაზი გაუსვა იმ გარემეობებს, რომელმაც გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა და პოზიციების შეუთავსებლობა, რამაც საბოლოოდ გამოიწვია დღეს არსებული რეალობა.

ქეთევან ჩაჩავა - მნიშვნელოვნად მიიჩნევს არსებობდეს კონკრეტული ხედვა და გეგმა, თუ რა უნდა გაკეთდეს იმისათვის რომ გადაილახოს ეს კრიზისი. არის პრეტენზიაა, რომ როდესაც ვინმე საუბრობს წევრების სახელით, გადაწყვეტილებები წინასწარ უნდა იქნას შეჯერებული და გაზიარებული ყველა წევრთან. უნდა მოხდეს გააზრება იმ პრობლემების რამაც მიგვიყვანა ამ მდგომარეობამდე და ამის საფუძველზე საბჭომ უნდა წარმოადგინოს კონკრეტული გეგმა კრიზისიდან გამოსვლის. მნიშვნელოვანია გვქონდეს კონსოლიდაცია. უნდა მოიძებნოს გამოსავლები იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ პლატფორმაში ის წევრები, რომელთაც არ მიუღიათ პლატფორმის დატოვების გადაწყვეტილება, ასევე უნდა ვიმსჯელოთ როგორ ვთანამშრომლობთ მედიაციის პროცესში იმ ორგანიზაციებთან, ვინც დატოვა კოალიცია.

ელენე რუსეცკი - დაეთანხმა ქეთევან ჩაჩავას მიერ გამოთქმულ პოზიციებს. მისთვის მნიშვნელოვანია მკაფიოდ იყოს განსაზღვრული აპირებს თუ არა საკოორდინაცო საბჭო კრიზისის დაძლევაზე მუშაობას და კონკრეტულ კომპრომისებზე წასვლას. ასევე, მან გამოთქვა მზაობა ჩაერთოს მედიაციის პროცესში, თუ ეს ხელს შეუწყობს პოზიციების დაახლოებას.

მარიამ ჯორჯაძე - მიიჩნევს, რომ არსებული კრიზისული სიტუაციიდან გამომდინარე, ახლა არ გვაქსვ უფლება ვიმსჯელოთ სხვა საკითხებზე. შიდა დაპირისპირებების არსებობის შესახებ ინფორმაცია აქამდე უნდა გაზიარებულიყო პლატფორმის წევრებთან. დღეს ურთიერთბრალდების რეჟიმში ყოფნა არ მოიტანს შედეგს პლატფორმისთვის და ზოგადად სამოქალაქო საზოგადოებისთვის, ახლა აუცილებელია მსჯელობა გაიმართოს სტრატეგიაზე, რომელიც უზრუნველყოფს სიტუაციის განმუხტვის.

ნათია კუპრაშვილი - ისაუბრა იმ საკითხებზე, რომელიც კომპრომისს გულისხმობდა. მან ყურადღება გაამახვილა იმ კომპრომისებზე რომელიც საბჭოს მხრიდან იყო გამოხატული,

ინდივიდუალურ შეხვედრებისას, რომელიც გაიმართა მხარეთა შორის. ასევე მიმოიხილა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში არსებული მსგავსი დაპირისპირებები და განმარტა, რომ ყველგან გამოსავალი მოიძებნა მედიაციის საშუალებით. შესაბამისად, იგი მიიჩნევს, რომ ძალიან მნიშვნელოვანია იული ხარაშვილისა და კოლეგების ინიციატივა ნდობის აღდგენასთან დაკავშირებით. გადამწყვეტია დროულად ჩამოყალიბდეს მედიატორთა ჯგუფი, რომელიც სტრატეგიას შეიმუშავებს. მედიატორებმა თავდაპირველად უნდა იმუშაონ იმ მიმართულებით, რომ დაზუსტდეს რა საკითხებია ისეთი, რომელმაც შესაძლოა მოახდინოს პოზიციების დაახლოება.

მაკა ჯახუა - მნიშვნელოვანია კოალიციის წევრებთან აქტიური კომუნიკაცია. მისი მოსაზრებით ორივე მხარეს აქვს დაშვებული შეცდომები და პროცესში არის ხარვეზები. ასევე, მან ისაუბრა ახლადარჩეული საბჭოს მუშაობასთან დაკავშირებით და აღინიშნა, რომ მას შემდეგ, რაც მოხდა თანათავმჯდომარეების არჩევა, არც ერთ შეხვედრასა და არც ერთ კომუნიკაციაში არ მიიღო მონაწილეობა თანათავმჯდომარე უჩა ნანუაშვილმა. იგი მიიჩნევს, რომ პლატფორმიდან გასვლა არ არის გამოსავალი.

შორენა ლორთქიფანიძე - თვლის რომ პლატფორმის ფუნქციონირება და სტატუსი არის უაღრესად მნიშვნელოვანი და არ შეიძლება შიდა პროცესებმა შეაფერხოს კოალიციის მუშაობა. ასევე, ის კრიზისი რომელიც შექმნილია ეს არის დღევანდელი რეალობა და ამ ფონზე დელეგირებული ჯგუფის შექმნა, რომელიც შეიმუშავებს სტატეგიულ გეგმას პლატფორმის სამომავლო ფუნქციონირებასთან დაკავშირებით, იქნება კრიზისიდან გამოსვლის ერთ-ერთი გზა. ის გამოეხმაურა ტექნიკურ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმულ რამდენიმე უკმაყოფილებას და განმარტა, რომ თანამედროვე სამყაროში კიბერუსაფრთხოება არის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა და ტექნიკური შეფერხებისგან თავის დასაცვად საჭიროა შესაბამისი ფინანსური და ადამიანური რესურსი.

ირინა ფუტკარაძე - მისი განმარტებით, პოზიციების შეუთავსებლობა დაიწყო 12 რეკომენდაციის შესრულების პროცესში პლატფორმისთვის აქტიური როლის მინიჭებით. ხედვების შეუსაბამობა მხარეთა შორის არაერთ საკითხე არსებობდა და ახლა მთავარ შეცდომად ამ უთანხმოებაზე წევრების არაინფორმირებას მიიჩნევს. აქვე აღნიშნავს, რომ მზად არის ყველა პატარა რესურსის გამოყენებაში შეუწყოს ხელი პლატფორმის წევრებს, რომელიც მიმართული იქნება ერთიანობის შენარჩუნებისკენ.

თენგიზ სვანიძე - პლატფორმის წევრებმა უნდა გავაკეთოთ მაქსიმალურად ყველაფერი, იმისათვის რომ შევინარჩუნოთ ერთიანობა.

ლია თოდუა - დააფიქსირა მოსაზრება, რომ ყველა უნდა შეეცადოს მაქსიმალურად შევინარჩუნოთ მათთან თანამშრომლობის ბერკეტები. უნდა გამოვიჩინოთ სოლიდარობა მათ მიმართ, მნიშვნელობა არ აქვს ისინი რჩებიან თუ არა ჩვენს წევრებად.

ლაშა ტუღუში - მიიჩნევს, რომ კრიზისული ვითარების მიუხედავად, არსებობს გამოსავლის გზები. აუცილებელია დაიწყოს დიალოგის პროცესი და მოხდეს მსჯელობა

ინსტიტუციურ შესაძლებლობებზეც. რაციონალური მიდგომების გათვალისწინებით, შესაძლებელია გადაიტვირთოს სიტუაცია და დიალოგზე დაფუძნებული პოზიციებით მოხდეს შეჯერება საერთო ხედვებსა და პროცესის ერთობლივად წარმართვაზე. ქვეყანას ერთიანი სამოქალაქო საზოგადოება სჭირდება იმ გზაზე, რომელიც ევროინტეგრაციის პროცესს უკავშირდება.

მურმან მარგველაშვილი - დააფიქსირა, რომ წევრებთან დიალოგი მისთვისაც არის ერთადერთი გზა კრიზისიდან გამოსასვლელად. ამ პროცესს კი სჭირდება გააზრება იმისა, თუ რა გაკეთდა არასწორად. ამაში მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველამ და ალბათ საჭირო იქნება არაორდინალური გადაწყვეტილებებიც.

მერი გელაშვილი - გამოხატავს პოზიციას, რომ კოლიციის ერთიანობის შესანარჩუნებლად შეიძლება მოხდეს დათმობებზე წასვლა, თუმცა ეს აუცილებელია კრიზისიდან გამოსასვლელად. აუცილებელია წარმოდგენილი იყოს ანგარიში, თუ როგორ განხორციელდა პლატფორმის დაფინანსების ათვისება და რა შედეგები დადგა. ასევე, შემდგომისთვის მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ საქმიანობის ანგარიშგება იყოს მუდმივად და საკოორდინაციო საბჭო საერთო კრებებზე წარადგენდეს სიღრმისეულ ანგარიშებს.

თანათავმჯდომარემ გააკეთა განმარტება ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით:
სამდივნომ პლატფორმის წევრთა საერთო მიმოწერის ქსელში გააზიარა ბიუჯეტში გაწერილი ხარჯები შესაბამის აქტივობებთან ერთად. აქვე კიდევ ერთხელ დაზუსტდა, რომ საბჭოს წევრები მუშაობენ მოხალისეობრივ საწყისებზე.

ნუგზარ კოხრეიძე - შესთავაზა პლატფორმის წევრებს გამოსავლის თავისი ხედვა „რესტარტი“, რაც გულისხმობს, რომ შეთანხმებისა და დიალოგის საფუძველზე იქნას უზრუნველყოფილი პროცესების გადახედვა, გადასინჯვა და შეთანხმებულად მოქმედება.

ეკა ციმაკურიძე - განმარტა, რომ იგი თავად იყო ერთ-ერთი ინიციატორი და ავტორი საპასუხო წერილის, რომელიც პლატფორმის წევრებთან გაზიარდა და რომელიც წარმოადგენდა სამართლებრივად არგუმენტირებულ პასუხს თანათავმჯდომარე, უჩა ნანუაშვილის მიერ გამოგზავნილ წერილთან დაკავშირებით.
მიიჩნევს, რომ პლატფორმამ უნდა მოახდინოს განახლებული პოზიციონირების დემონსტრირება, ამისთვის კი საჭიროა აქტიურ სამუშო რეჟიმზე გადასვლა.

შეჯამება:

წევრებთან შეხვედრის შემაჯამებელ ნაწილში თანათავმჯდომარემ შეაჯერა პოზიციები და შესთავაზა წევრებს შემდეგი საკითხების გადაწყვეტა:

1. საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრებზე იყოს უზრუნველყოფილი წევრთა ფართო ჩართულობა;
2. გააქტიურდეს სამუშაო ჯგუფებში მუშაობა და მათ შეიმუშაონ სამოქმედო გეგმები ერთობლივად;
3. ერთად ვიმუშავოთ პლატფორმის სტრუქტურულ გაძლიერებაზე, რაც მოიცავს ორ ძირითად მიმართულებას, ესენია: შეიქმნას წედების მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც იმუშავებს წესდების საკითხზე და ასევე ჩამოყალიბდეს ნდობის ჯგუფი, რომელიც გააკეთებს მოდერაციას სამოქალაქო საზოგადოების წევრებს შორის, იმ კრიზისის განსამუხტად, რომელის წინაშეც დღეს დგას ეროვნული პლატფორმა.

წევრთა შეხვედრაში მონაწილე ორგანიზაციები დაეთანხმნენ თანათავმჯდომარის შეთავაზებებს.

სხდომის თავმჯდომარე:
ნინო ჩხობაძე
პლატფორმის თანათავმჯდომარე (საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები).

სხდომის მდივანი:

ქეთევან ჭურაძე